პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 21 თებერვალი, 1945 წ. № 37 (7252). ფასი 20 კაპ.

ბიბლიოთეკა თბილისი

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას, განმათავისუფლებელ არმიას, რომელმაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან და ანადგურებს ჰიტლერელთა ჯარებს გერმანიის ტერიტორიაზე!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან წითელი არმიის XXVII წლისთავისათვის.

# მოწოდებანი
## საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა წითელი არმიის XXVII წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას, განმათავისუფლებელ არმიას, რომელმაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან და ანადგურებს ჰიტლერელთა ჯარებს გერმანიის ტერიტორიაზე!

2. გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს, მის წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებმაც ღირსეულად დაიცვეს სამშობლო გერმანელი ფაშისტი იმპერიალისტებისაგან!

3. გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა კავშირს, რომელმაც ევროპის ცივილიზაცია იხსნა ფაშისტ დამრბევთაგან!

4. სამშობლოს ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გმირულად იბრძვიან საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა შვილები! გაუმარჯოს წითელ არმიას — სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არმიას!

5. დავსაჯოთ გერმანელი ფაშისტი მტარვალები ჩვენი ქალაქებისა და სოფლების გაძარცვისა და დანგრევისათვის, ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობისათვის, საბჭოთა ადამიანების დახოცვისა და გერმანულ მონობაში წაყვანისათვის! შურისგება და სიკვდილი ფაშისტ ავაზაკებს!

6. გაუმარჯოს ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო კავშირის გამარჯვებას გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე! გამანადგურებელი დარტყმები მივაყენოთ ფაშისტურ გერმანიას აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან! აღვგავოთ პირისაგან მიწისა გერმანიის იმპერიალიზმი! უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის!

7. სალამი დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მამაც ჯარებს, რომლებიც შეტევას აწარმოებენ ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში!

სალამი მამაც ინგლისელ და ამერიკელ მეზღვაურებს, რომლებიც ფაშისტი მეკობრეების წინააღმდეგ იბრძვიან!

8. სალამი საფრანგეთის ხალხს და მის ჯარებს, რომლებიც იბრძვიან ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ დასავლეთში!

დიდება „ნორმანდიის" მამაც მფრინავებს, რომლებიც საბჭოთა მფრინავების მხარდამხარ ანადგურებენ გერმანელ ფაშისტ ბარბაროსებს!

9. სალამი გერმანელი დამპყრობლების უღლისაგან განთავისუფლებულ მოძმე პოლონელ ხალხს! გაუმარჯოს პოლონეთის მამაც ჯარს, რომელიც წითელ არმიასთან ერთად იბრძვის თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობას!

10. სალამი მოძმე იუგოსლავიელ ხალხს! გაუმარჯოს იუგოსლავიის გმირ სახალხო განმათავისუფლებელ არმიას, რომელიც ამთავრებს თავისი სამშობლოს განთავისუფლებას გერმანელ დამმონებელთაგან!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობას!

11. სალამი მოძმე ჩეხოსლოვაკიელ ხალხს, რომელიც იბრძვის ფაშისტი მტარვალების წინააღმდეგ! გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კორპუსის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, რომლებიც წითელ არმიასთან ერთად იბრძვიან გერმანელ მჩაგვრელთა წინააღმდეგ!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობას!

12. ძმებო—სლავებო! მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ გერმანელი დამპყრობლების — სლავთა მოსისხლე მტრების საბოლოო განადგურებას! გაუმარჯოს გერმანელი ფაშისტი ავაზაკების მოსასპობად მებრძოლ სლავ ხალხთა საბრძოლო კავშირს!

13. სალამი ევროპის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ!

14. წითელი არმიის მეომრებო! თქვენ მიგელიან, როგორც განმათავისუფლებლებს, მილიონობით საბჭოთა ადამიანები, რომლებიც გერმანულ კატორღაში იტანჯებიან. გავათავისუფლოთ ფაშისტური ტყვეობიდან ჩვენი ძმები და დები!

15. წითელი არმიის მეომრებო! გამანადგურებლად ურტყით გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს! არ მისცეთ მტერს სულის მოთქმის საშუალება! ურტყით მას დაუნდობლად, საბჭოთა იარაღის მთელი ძალით! წინ, დასავლეთისაკენ!

16. წითელი არმიის ქვეითებო! თამამად და გაბედულად დასძლიეთ მტრის თავდაცვა, განუწყვეტლივ სდევნეთ და ანადგურეთ ფაშისტთა ჯარები, არ მისცეთ მათ ახალ ზღუდეებზე გამაგრების საშუალება!

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეითებს!

17. წითელი არმიის არტილერისტებო და ნაღმმტყორცნელებო! მძლავრი და მარჯვე ცეცხლითი დარტყმებით ანადგურეთ მოწინააღმდეგის თავდაცვა, მოსპეთ მტრის ცოცხალი ძალა და საბრძოლო ტექნიკა!

გაუმარჯოს საბჭოთა არტილერიას!

18. წითელი არმიის ტანკისტებო! სავსებით გამოიყენეთ ჩვენი ტანკების მაღალი საბრძოლო თვისებები, მუსრეთ მტერი და კვალდაკვალ სდიეთ მას!

გაუმარჯოს საბჭოთა ტანკისტებს!

19. საბჭოთა მფრინავებო — ჩვენი სამშობლოს შევარდნებო! ჰაერიდან მძლავრი დარტყმებით ანადგურეთ მოწინააღმდეგის ჯარები და საბრძოლო ტექნიკა, ანგრიეთ მისი კომუნიკაციები, გზა გაუკაფეთ ჩვენს შემტევ ჯარებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მფრინავებს!

20. წითელი არმიის კავალერისტებო! სწრაფად სდევნეთ მტრის ჯარები, გულადად შეიჭერით მოწინააღმდეგის რიგებში, შემოუარეთ მის ფლანგებს, გარს შემოერტყით და მოსპეთ გერმანელი ფაშისტი ქვეწარმავლები!

გაუმარჯოს საბჭოთა ცხენოსნებს!

21. სამხედრო-საზღვაო ფლოტის წითელფლოტელებო და ოფიცრებო! უფრო ძლიერად ურტყით მტრის საზღვაო კომუნიკაციებს! ჩასძირეთ მოწინააღმდეგის ხომალდები და ტრანსპორტები, გასწმინდეთ ზღვის სივრცეები ფაშისტური სიბილწისაგან!

გაუმარჯოს საბჭოთა მეზღვაურებს!

22. წითელი არმიის მეკავშირეებო! გახსოვდეთ, რომ კავშირგაბმულობა წითელი არმიის ნერვია, ბრძოლის მართვისა და ყველა გვარეობის ჯარების თანამოქმედების უმნიშვნელოვანესი პირობაა! ყოველმხრივ აუმჯობესეთ კავშირგაბმულობის საქმე!

გაუმარჯოს საბჭოთა მეკავშირეებს!

23. წითელი არმიის მზვერავებო! გახსოვდეთ, რომ დაზვერვა არმიის თვალი და ყურია. გაბედულად შეაღწიეთ მოწინააღმდეგის განლაგებაში! დროზე გამოამჟღავნეთ მისი ვარაუდები და ზრახვები! დაეხმარეთ ჩვენს შემტევ ჯარებს მტრის აუცდენლად განადგურებაში!

გაუმარჯოს საბჭოთა მზვერავებს!

24. გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მესაზღვრეებს, საბჭოთა საზღვრების ერთგულ დამცველთ!

25. საინჟინრო ჯარების მებრძოლებო და ოფიცრებო! დაეხმარეთ ჩვენს ჯარებს წარმატებით მიიტანონ იერიში მტრის სიმაგრეებზე, მოსპონ მისი დასაყრდენი პუნქტები, გადალახონ მდინარეები, დასძლიონ დანაღმული ველები, განავითარონ შეტევის წარმატებანი.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან მესანგრეებს, მენაღმეებსა და პონტონერებს!

26. წითელი არმიის სამედიცინო მუშაკებო! თავდადებულად იბრძოლეთ დაჭრილი საბჭოთა მეომრების სიცოცხლის გადარჩენისა და მწყობრში მათი დაბრუნებისათვის!

გაუმარჯოს წითელი არმიის სამედიცინო მუშაკებს!

27. საჯარისო ზურგის მუშაკებო! წითელი არმიის ავტომობილისტებო და გზის მუშაკებო! დროულად მიაწოდეთ წითელ არმიას საბრძოლო ტექნიკა, საომარი მასალა, საჭურველი და სურსათი!

გაუმარჯოს საჯარისო ზურგის მუშაკებს! გაუმარჯოს წითელი არმიის ავტომობილისტებსა და გზის მუშაკებს!

28. წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გვარდიელებო! ღირსეულად ატარეთ წინ სახელოვანი გვარდიული დროშები. იყავით მამაცობისა და გულადობის, მხედრული ოსტატობის, შეტევაში სისწრაფისა და შემართების მაგალითი!

გაუმარჯოს საბჭოთა გვარდიას!

29. დიდება საბჭოთა ჯარებს, რომლებმაც დაამარცხეს მტრის არმიები აღმოსავლეთ პრუსიაში და ანადგურებენ გერმანელებს ბერლინის მისადგომებზე!

30. დიდება საბჭოთა ჯარებს, რომლებმაც შემუსრეს გერმანელთა თავდაცვა სილეზიაში და ავითარებენ შეტევას მდინარე ოდერს გაღმა!

31. დიდება წითელი არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს, რომლებიც ურტყამენ მტერს კარპატის მთების ზოლში და გერმანელებისაგან ათავისუფლებენ ჩვენს მეგობრულ ჩეხოსლოვაკიას!

32. დიდება ჩვენს ჯარებს, რომლებმაც გაანადგურეს გერმანელ ფაშისტთა ჯარები უნგრეთში და მოსპეს მტრის დაჯგუფება ბუდაპეშტის რაიონში!

33. დიდება საბჭოთა კავშირის გმირებს და სოციალისტური შრომის გმირებს — ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს!

34. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ფრონტელთა ოჯახებისათვის ზრუნვა ყველა საბჭოთა პატრიოტის წმიდა მოვალეობაა. საყოველთაო ყურადღებითა და ზრუნვით მოვეპყრათ სამშობლოს განმათავისუფლებელთა ოჯახებს!

35. საყოველთაო სამხედრო სწავლება განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს საბრძოლო ძლიერებას. საბჭოთა პატრიოტებო! გულმოდგინედ ისწავლეთ სამხედრო საქმე, ემზადეთ იმისათვის, რომ სამშობლოს უნარიანი და მამაცი დამცველები გახდეთ!

36. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დაუცხრომლად იმუშავეთ ფრონტის დასახმარებლად! აძლიეთ წითელ არმიას სულ უფრო და უფრო მეტი ტანკი, თვითმფრინავი, ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი, ავტომატი, საომარი მასალა! აუმჯობესეთ საბრძოლო მანქანების ხარისხი!

37. საბჭოთა რკინიგზელებო, რკინიგზის ჯარების მებრძოლებო და ოფიცრებო! თავდადებული და ზუსტი მუშაობით უზრუნველჰყავით წითელი არმიის წარმატებანი! უფრო სწრაფად აღადგინეთ გერმანელთა მიერ დანგრეული რკინიგზის ლიანდაგები და ნაგებობანი!

38. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადებითა და წარმატებით ჩატარებით უზრუნველვყოთ უხვი მოსავალი 1945 წელს! მივცეთ ფრონტს და ჩვენს ქვეყანას მეტი სურსათი და ნედლეული!

39. საბჭოთა ინტელიგენციავ! ინჟინრებო და ტექნიკოსებო, მასწავლებლებო, აგრონომებო, ექიმებო, მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებო! საბჭოთა საწარმოებისა და დაწესებულებების მოსამსახურეებო! დაეხმარეთ მუშებსა და კოლმეურნეებს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში! წინ წასწიეთ საბჭოთა მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა!

40. საბჭოთა ქალებო! დაეუფლეთ საწარმოოს სპეციალობებს, გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, შეისწავლეთ საჰაერო და ქიმიური თავდაცვის საქმე, სანიტარული საქმე, კავშირგაბმულობა! მთელი ძალები მოახმარეთ გერმანელ დამპყრობთა განადგურებას, სახალხო მეურნეობის აღმავლობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს!

41. საბჭოთა ჭაბუკებო და ქალიშვილებო! თავდადებით იშრომეთ ფრონტის დასახმარებლად, დაეუფლეთ წარმოების ტექნიკას, გვიჩვენეთ შრომის დისციპლინის ნიმუშები, დაუღალავად შეისწავლეთ სამხედრო საქმე!

გაუმარჯოს საბჭოთა ახალგაზრდობას!

42. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში!

43. გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირს — ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის, ბედნიერებისა და დიდების საიმედო დასაყრდენს! გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!

44. გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

45. ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურებისათვის, ჩვენი სამართლიანი საქმის სრული გამარჯვებისათვის!

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

# ბრძანება
## უმაღლესი მთავარსარდლისა

დღეს, 20 თებერვალს, 17 საათზე საბჭოთა ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში (ვილნოში) შესდგება დაკრძალვა არმიის გენერალ ი. დ. ჩერნიახოვსკისა, რომელიც ბელორუსიის მე-3 ფრონტის ჯარებს სარდლობდა.

საბჭოთა კავშირის არმია და ფლოტი თავიანთ საბრძოლო დროშებს ხრიან ჩერნიახოვსკის კუბოს წინაშე და პატივს სცემენ წითელი არმიის ერთ-ერთ საუკეთესო სარდალს.

ვბრძანებ:

არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის დაკრძალვისას უკანასკნელი მხედრული პატივი მიეგოს გარდაცვლილს და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მიცემულ იქნას სალუტი ას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით.

**უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1945 წლის 20 თებერვალი.

## არმიის გენერალ ი. დ. ჩერნიახოვსკის დაკრძალვა

ვილნიუსი, 20 თებერვალი. (საკდესი). ლიტვის ძველი ქალაქი, რომელიც გერმანელი დამპყრობლებისაგან გენერალ ჩერნიახოვსკის ჯარებმა გაათავისუფლეს, ტრაურით შეიმოსა. შენობებზე სამგლოვიარო ალმებია, ყველგან გაპოკრულია საგანგებოდ გამოშვებული გაზეთები. ლიტვის დედაქალაქის მშრომელნი, ფაშისტური ტყვეობიდან განთავისუფლებულნი, სსრ კავშირის ყველა ხალხთან ერთად გლოვობენ მძიმე დანაკლისს.

არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის ნეშტის შესახვედრად ვაგზალში მივიდნენ რესპუბლიკის მთავრობისა და ცენტრალური პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, წითელი არმიის ნაწილების მეთაურები, საწარმოთა წარმომადგენლები.

განსვენებულის თანამებრძოლ ამხანაგებს ხელით გამოაქვთ კუბო ვაგონიდან და ავტომობილზე დგამენ. სამგლოვიარო პროცესია ხალხით გაჭედილ ქუჩებში ნელა მიემართება ქალაქის ცენტრისაკენ — ლიტვის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს შენობისაკენ.

გამოჩენილი სარდლის ი. დ. ჩერნიახოვსკის სახელი მხურვალედ უყვარს ლიტველ ხალხს და მისი ხსოვნა ძვირფასია. დაუსრულებელია ადამიანთა ნაკადი, რომელნიც მოდიან, რათა გამოეთხოვონ თავიანთ გმირსა და განმათავისუფლებელს.

კუბოსთან ვახტზე დგანან საბჭოთა კავშირის გმირები, რომლებმაც ეს მაღალი წოდება არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის ჯარებში მიიღეს, განსვენებულის მეგობრები და თანამებრძოლები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, წითელი არმიის გენერლები და ოფიცრები.

15 საათზე სწყდება დარბაზში ხალხის შეშვება...

ნელა მიემართება სამგლოვიარო პროცესია ქალაქის ცენტრალური მაგისტრალით. პროცესიის წინ უამრავი გვირგვინი მიაქვთ. გვირგვინების შემდეგ ბელორუსიის მე-3 ფრონტის გენერლებს წითელი აბრეშუმით მიაქვთ საბჭოთა კავშირის გმირის ორი ოქროს ვარსკვლავი და ორდენები — განსვენებულის საბრძოლო ჯილდოები. შემდეგ — გვირგვინები სსრ კავშირის სახკომსაბჭოსაგან, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან, უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინისა და წითელი არმიის გენერალური შტაბისაგან.

ოჟეშკენესის მოედანი, ადგილი, სადაც საუკუნო ძილით განისვენებენ ვილნიუსის განთავისუფლებისათვის ბრძოლების გმირები. ახლად გათხრილი სამარის პირას, მოედნის ცენტრში კუბოს პოსტამენტზე დგამენ.

ტრიბუნაზე ადის ლიტვის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. გედვილასი. ლიტვის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ლიტვის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს დავალებით იგი ხსნის სამგლოვიარო მიტინგს და პირველ სიტყვას აძლევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრს ამხ. სუსლოვს.

შემდეგ სიტყვა ეძლევა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელს გენერალ-პოლკოვნიკ კუზნეცოვს და ბელორუსიის მე-3 ფრონტის სარდლობის წარმომადგენელს გენერალ-ლეიტენანტ მაკაროვს.

სიტყვა წარმოსთქვა ლიტვის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. პალეცკისმა. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კისელიოვმა, გენერალ-მაიორმა პონომარიოვმა და პარტიის ვილნიუსის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ფედოროვიჩმა.

ამხ. გედვილასი სამგლოვიარო მიტინგს დახურულად აცხადებს. ვეებერთელა მოედანზე, სადაც 80 ათასამდე კაცი იყო, სიწყნარე ჩამოვარდა. ლიტვის პარტიული ორგანიზაციების და მთავრობის ხელმძღვანელები, წითელი არმიის გენერლები ტრიბუნიდან ჩამოდიან და კუბოსთან მიდიან.

დაბლა იხრება საბრძოლო დროშები. ამხ. სუსლოვი, კოვალიოვი, გენერალ-პოლკოვნიკი კუზნეცოვი, გენერალ-ლეიტენანტი მაკაროვი და სხვები ნელა უშვებენ კუბოს საფლავში. გაისმის ზალპი და როგორც გამოძახილს, რადიო მთელ მოედანს ჰფენს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის გამოსათხოვარი საარტილერიო სალუტის გრიალს.

საფლავის ბორცვს გვირგვინებით ამკობენ, ქვეშ-ობელისკს სდგამენ.

## ამერიკული პრესა არმიის გენერალ ჩერნიახოვსკის გარდაცვალების შესახებ

ნიუ-იორკი, 20 თებერვალი. (საკდესი). გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნეს ცნობა იმის შესახებ, რომ ბრძოლის ველზე მიღებული მძიმე ჭრილობისაგან გარდაიცვალა არმიის გენერალი ი. დ. ჩერნიახოვსკი. გაზეთები აქვეყნებენ აგრეთვე ბიოგრაფიულ ცნობებს ჩერნიახოვსკის შესახებ და განსაკუთრებით აღნიშნავენ მის შესანიშნავ სამხედრო დამსახურებას. „ნიუ-იორკ ტაიმსში", „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნსა" და მრავალ სხვა გაზეთში მოთავსებულია ი. დ. ჩერნიახოვსკის პორტრეტები.

## მექსიკაში სსრ კავშირის ელჩის ამხ. კ. ა. უმანსკის დაკრძალვა

20 თებერვალს მოსკოვში ნოვო დევიჩი სასაფლაოზე დაკრძალეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მექსიკის შეერთებულ შტატებში ამხ. კ. ა. უმანსკი, მისი მეუღლე რ. მ. უმანსკაია, საელჩოს პირველი მდივანი ლ. ი. ტროინიცკი, სამხედრო ატაშეს თანაშემწე პოდპოლკოვნიკი ს. ა. სავინ-ლაზარევი და საელჩოს ატაშე ი. ე. ვდოვინი, რომელნიც დაიღუპნენ ქ. მექსიკოში მომხდარი საავიაციო კატასტროფის დროს.

20 თებერვალს დილიდან ქალაქ მოსკოვის მშრომელები მოდიოდნენ კ. ა. უმანსკისა და მასთან ერთად დაღუპულ პირთა ნეშტიან ურნებთან და უკანასკნელ ვალს იხდიდნენ ნიჭიერი საბჭოთა დიპლომატის წინაშე.

კ. ა. უმანსკისა და მასთან ერთად დაღუპულ პირთა ნეშტიანი ურნები, რომლებიც მექსიკიდან სამხედრო თვითმფრინავით ჩამოიტანეს, დადგმული იყო კავშირების სახლის მცირე დარბაზში.

საპატიო ყარაულში ერთმანეთს სცვლიან პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშაკები.

კავშირების სახლის მცირე დარბაზში იყვნენ დიპლომატიური კორპუსის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

დიდი ბრიტანეთის, ჩეხოსლოვაკიის, კანადის ელჩები, ეთიოპიის დესპანი, ნორვეგიის საქმეთა რწმუნებული და ირანისა და ჩინეთის სამხედრო ატაშეები იდგნენ საპატიო ყარაულში კ. ა. უმანსკისა და მასთან დაღუპულ პირთა ნეშტთან.

ახლოვდება ურნების გამოსვენების დრო. გაისმის ბეთჰოვენის სამგლოვიარო მარში. საპატიო ყარაულის უკანასკნელ ცვლაში დგებიან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეები ამხ. ა. ი. ვიშინსკი, ვ. გ. დეკანოზოვი და ს. ა. ლოზოვსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ა. ფ. გორკინი.

15 საათსა და 45 წუთზე ამხ. ს. ა. ლოზოვსკის, ა. ფ. გორკინს, პ. ვ. მაიოროვს და დაკრძალვის კომისიის სხვა წევრებს გამოაქვთ ურნები კავშირების სახლიდან. სამგლოვიარო პროცესია მიემართება ნოვო დევიჩი მონასტრის სასაფლაოზე.

სასაფლაოზე სამგლოვიარო მიტინგი გახსნა ამხ. ა. ფ. გორკინმა. მან სიტყვა მისცა ამხ. ნ. მ. შვერნიკს, რომელმაც ილაპარაკა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სახალხო კომისართა საბჭოს სახელით. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელით გამოვიდა ამხ. ლოზოვსკი.

ქალაქ მოსკოვის მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. პ. ვ. მაიოროვმა.

სასაფლაოზე იყვნენ დიპლომატიური კორპუსის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრებულია. ურნები კ. ა. უმანსკის, რ. მ. უმანსკაიას, ლ. ი. ტროინიცკის, ს. ა. სავინ-ლაზარევისა და ი. ე. ვდოვინის ნეშტით ჩადგმულია სასაფლაოს კედლის ნიშში. სამგზის გაისმის გამოსათხოვარი სალუტი. სამგლოვიარო მელოდიას სცვლის საბჭოთა კავშირის ჰიმნი. იგი გაისმის როგორც სიმბოლო იმ დიადი საქმის უკვდავებისა და გამარჯვებისა, რომელსაც სიცოცხლე მოახმარეს კ. ა. უმანსკიმ და მასთან ერთად დაღუპულმა პირებმა. (საკდესი).

საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ

**1945 წლის 24 თებერვალს ქ. თბილისში მოწვეულია საქართველოს ალკკ XVI ყრილობა**

შემდეგი დღისწესრიგით:

1. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში — მომხსენებელი ამხ. მ. ბალავაძე;
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი ამხ. ა. ხელაძე;
3. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის არჩევნები,
4. სარევიზიო კომისიის არჩევნები.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ბალავაძე

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 20 თებერვლის ოპერატიული ცნობა

[illegible] ხავლეთი ნაპირის გასწვრივ, ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები მიუნქენტურგალდე, კალგდორფი, ლიალკაუ, იაშჩერსკი, კასპარუსი, ლინოვები, გროს შლივიცი, გაგენორტი, შლიახტა. ქალაქ გრუძიანძში (გრაუდენცში) გრძელდებოდა ბრძოლები მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონის მოსასპობად.

ბრანდენბურგის პროვინციაში ჩვენმა ჯარებმა შეტევითი ბრძოლების შედეგად დაიკავეს ქალაქები გროსენი, ბობერსბერგი, ხრისტიანშტადტი, აგრეთვე 80-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ალტ რეფელდი, ნოიენდორფი, ლინდენჰაიმი, შიბელნი, დაუბე, ლაუზნიტცი, ზურკაუ, მარსდორფი, ზურაუ. 19 თებერვალს ამ რაიონში ტყვედ ჩავიგდეთ 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ბრესლაუს რაიონში გრძელდებოდა ბრძოლები ქალაქში გარშემორტყმული მოწინააღმდეგის დაჯგუფების მოსასპობად.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ქალაქ ლუჩენეცის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც მთიან-ტყიანი ადგილის ძნელ პირობებში მოქმედებენ კარპატის მთების ზოლში, ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სკლიაროვო, დუბრავი, დეტვა, კრივანი, დრუზბაიოვცი, სტარა გუტა, ჩერვენა.

დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე, ქალაქ კომარნოს აღმოსავლეთით, ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშები. 19 თებერვლის ბრძოლებში ამ რაიონში დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 60 ტანკი.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

19 თებერვალს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 206 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 109 თვითმფრინავი.

* * *

ზემლანდის ნახევარკუნძულზე მოწინააღმდეგემ დილით განაახლა ცდები ქალაქ კენიგსბერგიდან დასავლეთისაკენ გარღვევისა. გერმანელთა ქვეითი ჯარის დიდი ძალები ტანკების დახმარებით იერიშზე გადმოვიდნენ. მთელ დღეს გაგრძელდა დაძაბული ბრძოლები. ვიწრო უბანს მოწინააღმდეგემ ათეულ ათასობით ყუმბარა და ნაღმი დააყარა. საბჭოთა ნაწილებმა, რომლებიც მტრის იერიშებს იგერიებდნენ, მოსპეს 2 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილები ბრძოლებით გადავიდნენ მდინარე შტრადიკზე. საბჭოთა მებრძოლებმა სწრაფი შეტევით გადასჭრეს ქალაქ ცინტენიდან ფრიშ ჰაფის ყურის სანაპიროსაკენ მიმავალი რკინიგზა. სხვა უბანზე დაკავებულია დასახლებული პუნქტი პაკპაუზენი—გზატკეცილების კვანძი. ჩვენი ჯარები, რომლებიც გუშინ მდინარე პასარგეზე გადავიდნენ, განაგრძობდნენ პლაცდარმის გაფართოებას მის აღმოსავლეთ ნაპირზე. მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი კონტრიერიშები მოგერიებულია მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 36 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 70 ტყვიამფრქვევი, 115 ავტომანქანა და სხვა დავლა.

* * *

დანციგის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. საბჭოთა ნაწილებმა, რომლებიც მდინარე ვისლის დასავლეთ ნაპირის გასწვრივ უტევენ, გასტეხეს გერმანელთა წინააღმდეგობა და დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი მიუნსტერვალდე, რომელიც 65 კილომეტრზე მდებარეობს დანციგის სამხრეთით. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეითებმა განდევნეს გერმანელები დიდ დასახლებულ პუნქტ და რკინიგზის კვანძ შლიახტიდან, რომელიც 8 კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ ჩერსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ქალაქ გრუძიანძში (გრაუდენცში) ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონის სალიკვიდაციოდ. ფორტებსა და ციხეში ჩასაფრებული გერმანელთა ნაწილები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ. საბჭოთა მოიერიშე ჯგუფებმა რამდენიმე ხანგრძლივი საცეცხლე წერტი დაიკავეს და ციხეში შეიჭრნენ. ერთი დღის ბრძოლებში მოსპობილია 1.500-მდე ჰიტლერელი, მოწინააღმდეგის 9 ტანკი და 30 ქვემეხი.

* * *

ბრანდენბურგის პროვინციაში ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. სწრაფი იერიშის შედეგად საბჭოთა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი გროსენი — მოწინააღმდეგის თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი. ქალაქი გროსენი მდებარეობს მდინარეების ბობერისა და ოდერის შესართავთან, ჩვენმა ჯარებმა წარმატება განავითარეს და წინ წაიწიეს 15 კილომეტრით. სხვა ჩვენმა ნაწილებმა, გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, გარეკეს გერმანელები ქალაქ ბობერსბერგიდან და ბრძოლებს ეწევიან ქალაქ გუბენის აღმოსავლეთით მდებარე ტყეებში. დაკავებულია აგრეთვე ქალაქი ხრისტიანშტადტი. ამ რაიონში დამარცხებულ იქნენ მტრის ნაწილები, რომლებიც ცდილობდნენ ფლანგიდან დარტყმა ჩვენი ჯარებისათვის. მოსპობილია 32 ტანკი და 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მტრის ჯგუფის ნაშთები ტყეებში გაიფანტნენ.

მაიორ შაბალინის მსროლელი ბატალიონის მებრძოლებმა იერიში მიიტანეს დიდ ავტოკოლონაზე, რომელშიც მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი იყო. გააფთრებულ შეტაკებაში მტრის კოლონა განადგურებულ იქნა. გაჟლეტილია ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე მაიორ რუდენკოს ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონის არტილერისტებმა, რომლებიც მტრის კონტრიერიშს იგერიებდნენ, დასწვეს 3 ტანკი, 5 ჯავშანტრანსპორტიორი და მოსპეს 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. რიგითმა ჯავშანმტერეველმა კირიენკომ ტანკსაწინააღმდეგო თოფის ცეცხლით ჩამოაგდო გერმანელთა თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის 1-ლ ფრონტზე ტყვედ წამოყვანილი გერმანელი ოფიცრები აცხადებენ, რომ გერმანელთა ჯარებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ტყვედ წამოყვანილმა მე-10 მოტორიზებული დივიზიის ოპერატიული განყოფილების უფროსმა მაიორმა ვოლფგანგ შაალმა განაცხადა: „რუსთა შემოტევა სჭარბობს ყველა უდიდეს სამხედრო ოპერაციას, როგორიც კი ოდესმე მომხდარა. არც ერთ ჩვენგანს ამის მსგავსი არაფერი უნახავს. ჩვენ მიუვალად და უვნებადად მიგვაჩნდა ჩვენი მძლავრი და ღრმად ეშელონირებული თავდაცვა. ჩვენს უბანზე რეზერვში გამზადებული იდგნენ მე-16 და მე-17 სატანკო და მე-10 და მე-20 მოტორიზებული დივიზიები. ვინაიდან ქვეითმა ჯარმა ვერ გაუძლო რუსთა შემოტევას, მოგვიხდა დაუყოვნებლივ გამოგვეყვანა ბრძოლაში რეზერვები. რუსთა ჯარებმა ჩვენი თავდაცვა გაარღვიეს და დასავლეთისაკენ გაგვრეკეს. სდევნიდნენ რა უკანდახეულ ნაწილებს, საბჭოთა ტანკისტები გარს ერტყმოდნენ და სპობდნენ მათ. ორ დღეში ჩვენი დივიზია განადგურებულ იქნა. ასეთივე ბედი ეწია სხვა შენაერთებსაც. ცოცხლად გადარჩენილი ჯარისკაცები აქეთ-იქით გაიფანტნენ. მე და დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა ვიალმა ვცადეთ დასავლეთისაკენ გაგვეღწია. ჩვენ მხოლოდ ღამით მივდიოდით, დღისით კი ვიმალებოდით. შვიდ ღამეში ათობით კილომეტრი გავიარეთ, მაგრამ ფრონტი კიდევ უფრო სწრაფად მიიწევდა წინ. მეორე დღეს, როცა რუსებმა ტყვედ ჩაგვიგდეს, ჩვენ შევიტყვეთ, რომ ფრონტს უკან შორს ვიმყოფებოდით, ღრმა ზურგში".

## დაჭრილი მებრძოლის კულტურული დასვენების დღე

19 თებერვალს მოსკოვის თეატრებმა მოაწყეს „დაჭრილი მებრძოლის კულტურული დასვენების დღე". ჰოსპიტლების მომსახურებაში მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის 10 თეატრმა და საკონცერტო ორგანიზაციამ.

მცირე თეატრის კოლექტივმა 100-მდე გამოსვლა მოაწყო ჰოსპიტლებში, მოსკოვის სამხატვრო აკადემიურმა თეატრმა — 65 და სხვ. დაჭრილები გულთბილად შეხვდნენ მსახიობებს. (საკდესი).

## პირველი კვირაობა

ქუჩა, რომელიც ჩვენი მსუბუქი მრეწველობის გიგანტის—ბერიას სახელობის თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა საერთო საცხოვრებლებიდან საფაბრიკო კორპუსებამდე გრძელდება, დაფარული იყო მშენებლობის ნარჩენებით, ნაყარი მიწით და ორმოებით. წვიმიან ამინდში ქუჩა ძნელად გასავლელი ხდებოდა. ამის გამო ფაბრიკის მუშები დიდად იყვნენ შეწუხებულნი. მათ გადაწყვიტეს პირველი კვირაობა ამ ქუჩის შესაკეთებლად მოეწყოთ.

ასეც მოიქცნენ. ფაბრიკის მუშათა ამ ინიციატივას სათავეში ჩაუდგნენ ადმინისტრაცია, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები, რომლებმაც წინასწარ ჩამოაყალიბეს ბრიგადები, გამონახეს და მოამზადეს სამუშაო იარაღები—ბარები, წალკატები, საზიდრები და სხვ.

კვირას, 18 თებერვალს, დილაადრიან ქუჩის კეთილმოსაწყობ სამუშაოთა შესასრულებლად გამოვიდნენ ფაბრიკის მუშათა პირველი ჯგუფები. ყველა ხალისით და ბეჯითად მუშაობდა. ბრიგადებს შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. განვლო ცოტა ხანმა და გამოაკრეს სახელდახელოდ გამოშვებული „საბრძოლო ფურცლები", სადაც შექებული იყვნენ კარგად მომუშავე ბრიგადები.

კარგი მომსახურება გაუწია ამ დღეს კვირაობაში მონაწილეებს ფაბრიკის მუშათა მომარაგების განყოფილებამ (დირექტორი ა. ლეჟავა).

სადილის შემდეგ მუშაობა ახალი ენერგიით გაჩაღდა. 8 საათის განმავლობაში მოშანდაკებულ იქნა ქუჩის სავალი 2.500 კვადრატულ მეტრზე, შესრულდა 400 კუბური მეტრის მიწის სამუშაო, მოსწორებულ იქნა ოღროჩოღრო ადგილები და სხვ.

კვირაობაში ენერგიული მუშაობით თავი ისახელეს მუშებმა მ. თედიაშვილმა, ა. ჯანჯღავამ, ლ. აფციაურმა, ა. კაჩიევმა, კლ. ბარაკოვამ, ლ. არაქელოვამ, ს. საგათელოვმა, ი. ისმაილოვმა, ვ. ახობაძემ, ო. ოგანეზოვმა, მ. ილკოვიჩმა, ზ. ალავიძემ და სხვ. ფაბრიკის დირექციიდან, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკებიდან კარგად იმუშავეს გრ. ალავიძემ, ი. ცქიტიშვილმა, ა. ჩქარეულმა, გ. კიკნაძემ, ე. კაპანელმა, ს. ბარიგიანმა, ა. ანისიონიანმა, ა. ჩახოიანმა, ნ. არველაძემ და სხვ.

ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივის მიერ მოწყობილმა პირველმა კვირაობამ კარგი ნაყოფი მოგვცა. საჭიროა ასეთ სასარგებლო ინიციატივას მიჰბაძონ თბილისის დანარჩენ საწარმოთა კოლექტივებმა.

## საბჭოთა მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენელთა მიღება კალინინთან

[illegible]

## საბჭოთა ხელოვნების ოსტატები ბელგრადში

ბელგრადი, 16 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა კონცერტები ბელგრადში უდიდესი წარმატებით მიმდინარეობენ. 12 თებერვალს შედგა ღია კონცერტი, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცა იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის დაჭრილ მებრძოლთა დახმარების ფონდს. კონცერტი სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვინაიდან საზოგადოება დიდ ხანს არ უშვებდა მსახიობებს სცენიდან, ამასთან მქუხარე ოვაციით გამოსთქვამდა თავის აღტაცებას.

განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ იუგოსლაველი ჯარისკაცები და ოფიცრები საბჭოთა მსახიობების გამოსვლებს სპეციალურად მათთვის გამართულ კონცერტზე.

საბჭოთა ხელოვნების ოსტატებს ყოველ ნაბიჯზე სიმპატიით და აღტაცებით ეგებებიან. ქუჩებში, სასტუმროში მსახიობებთან მიდიან ადამიანები, აღელვებით უხდიან მადლობას, გულთბილად მიესალმებიან მათ. ყოველდღე სხვადასხვა ორგანიზაციები და ცალკეული პირები თაიგულებს გზავნიან სასტუმროში. საბჭოთა მსახიობებს სტუმრად იწვევენ იუგოსლავიის მრავალი ქალაქის ორგანიზაციები.

გუშინ საბჭოთა მსახიობების პატივსაცემად დიდი დარბაზობა გაიმართა, რომელიც მოაწყო ბელგრადის ქალაქის სახალხო-განმათავისუფლებელმა კომიტეტმა. დაესწრო 350-ზე მეტი კაცი, მათ შორის იუგოსლავიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური ვეჩეს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ-რი ივანე რიბარი, სერბიის სახალხო განთავისუფლების ანტიფაშისტური სკუპშჩინის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პროფესორი სინიშა სტანკოვიჩი, იუგოსლავიის განთავისუფლების ნაციონალური კომიტეტის წევრები, სრულიად-სლავური კომიტეტის წარმომადგენლები, სსრ კავშირთან კულტურული კავშირის საზოგადოების წარმომადგენლები, უცხოეთის სამხედრო მისიების ხელმძღვანელები და წევრები, ბელგრადის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, ჟურნალისტები და სხვ. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ბელგრადის ქალაქის სახალხო-განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ დ-რმა სტეფან ჯევრინომ. დარბაზობამ მეგობრულსა და გულითად ატმოსფეროში ჩაიარა.

ბელგრადის პრესა დაწვრილებით აშუქებს საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა ყოფნას იუგოსლავიის დედაქალაქში და აღფრთოვანებულ სტატიებს უძღვნის მათს გამოსვლებს.

## სტეტინიუსისა და ბრაზილიის პრეზიდენტის ერთობლივი განცხადება

ნიუ-იორკი, 18 თებერვალი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის პეტროპოლისელი (ბრაზილია) კორესპონდენტის ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა სტეტინიუსმა, რომელიც ყირიმის კონფერენციიდან დაბრუნებისას ეწვია ბრაზილიას, და ბრაზილიის პრეზიდენტმა ვარგასმა საუბრის შემდეგ, რამაც ერთ საათზე მეტს გასტანა, გამოაქვეყნეს შემდეგი ერთობლივი განცხადება:

„ჩვენ სრულად და მეგობრულად განვიხილეთ ბრაზილიისა და შეერთებული შტატების ურთიერთობის ყველა მხარე, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის სხვადასხვა საკითხი. კერძოდ, ჩვენ განვიხილეთ ბრაზილიისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობა ომიანობის დროს, მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ორივე ქვეყანას შეუძლია განაგრძოს ეს თანამშრომლობა ომის შემდგომ ურთიერთ სარგებლობისათვის. ჩვენ განვიხილეთ ყველა მიღწევა ამერიკათაშორისი სისტემისა, რომლის ტრადიციული მომხრეც ბრაზილია არის, განვიხილეთ სისტემის განმტკიცების მეთოდები, რათა იგი კიდევ უფრო ეფექტიანი გავხადოთ, ვიდრე წარსულში იყო. ჩვენ განვიხილეთ მნიშვნელობა ყირიმის კონფერენციისა, რომელმაც ასე ძლიერ შეუწყო ხელი გაერთიანებული ერების საქმის წარმატებას, და მოვემზადეთ კონფერენციისათვის მექსიკოში და კონფერენციისათვის სან-ფრანცისკოში, სადაც გაერთიანებული ერების ერთიანობა, ომიანობის დროს წარმოშობილი, გახდება ბაზა მტკიცე მშვიდობიანობის მოწყობის საერთაშორისო ორგანიზაციისათვის".

თათბირს ესწრებოდა აგრეთვე ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ველოზო. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში სტეტინიუსმა განაცხადა, რომ „თათბირი ფრიად [illegible] იყო".

## საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 20 თებერვალი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ გერმანიაში მდინარეებს რაინსა და მაასს შუა, გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა მოილანდის რაიონში, სადაც მოკავშირეთა ჯარებმა რამდენიმე წაიწიეს წინ კალკარისაკენ. მოკავშირეთა ჯარები შევიდნენ აგრეთვე გოხში და, მტრის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, თითქმის სავსებით გასწმინდეს ქალაქი.

ეხტერნახის (ლუქსემბურგი) ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილია ორი დასახლებული პუნქტი. ბოლენდორფის ჩრდილო-დასავლეთით მოგერიებულია მოწინააღმდეგის რამდენიმე კონტრიერიში. ეხტერნახის აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარები მინდენიდან ერთ მილზე იმყოფებიან. რემიხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მიუნცინგენის მიდამოებში, მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს — ერთი მილით.

ფორბახის მიდამოებში მოკავშირეთა ნაწილებმა დაიკავეს ეტინგენი და ეტცლინგენი. ამასთან მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა. საარგემიუნდის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგე განდევნილია გერმანიის ქალაქ აუერსმახერიდან, სადაც მოკავშირეთა ჯარებმა მდინარე საარი გადალახეს. უფრო აღმოსავლეთით მოკავშირეთა ნაწილებმა დაიკავეს ფრაუენბერგი და ფოლპერსვაილერი.

ლონდონი, 20 თებერვალი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში, მთიან ადგილას პისტოია-ბოლონიის გზატკეცილის დასავლეთით მე-5 არმიის ამერიკელთა ნაწილებმა პოზიციები გაიუმჯობესეს. მე-5 და მე-8 არმიების სხვა უბნებზე აქტიურად მოქმედებდნენ პატრულები.

მოკავშირეთა სტრატეგიული ავიაციის შემადგენლობის მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით მშვიდი დღია ზედიზედ ესხმიან თავს კომუნიკაციებს ვენის რაიონში. მძიმე ბომბდამშენთა სხვა შენაერთები თავს დაესხნენ სანავსადგურო ნაგებობებს ჩრდილოეთ იტალიაში.

## „უნიტა" იუგოსლავიაში რომაელ გასამართლების მოთხოვნის გამო

რომი, 14 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა" კომენტარს უკეთებს იუგოსლავიის მთავრობის მოთხოვნას ომის იტალიელ დამნაშავეთა იუგოსლავიაში გასამართლების შესახებ და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ რომის ზოგიერთმა გაზეთმა პროტესტი განაცხადა იმ საბაბით, რომ ამ მოთხოვნის შესრულება ზიანს მიაყენებდა იტალიის სუვერენიტეტს. „უნიტა" აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა შეთანხმებანი ითვალისწინებენ იმის აუცილებლობას, რომ ომის დამნაშავენი გასამართლებულ იქნან იმ ქვეყანაში, სადაც მათ დანაშაული ჩაიდინეს. სხვათა შორის, დასძენს გაზეთი, „თუ იტალიაში როატას ნებას აძლევენ ფაშისტური პროპაგანდა გასწიოს ტრიბუნალში, შეიძლება იუგოსლავიაში მას ამის ნებას არ მისცემდნენ".

## რადიომაუწყებლობის აღდგენა პოლონეთში

ვარშავა, 16 თებერვალი. (საკდესი). წითელი არმიის დარტყმებით უკანდახევისას გერმანელ ფაშისტთა ბანდებმა სავსებით დაანგრიეს პოლონეთის რადიოსადგურები, მათ შორის ვარშავის, კრაკოვისა და სხვები. პოლონეთის რადიოს მუშაკები ენერგიულად მუშაობენ გერმანელების მიერ დანგრეული სადგურების აღსადგენად. ამასწინათ კრაკოვში ზეიმით გაიხსნა რადიომაუწყებლობის სადგური. სიტყვები წარმოსთქვეს განათლების მინისტრმა სკშეშევსკიმ და კულტურისა და ხელოვნების ვიცე-მინისტრმა ვენდემ, რომლებმაც მიულოცეს დამსწრეთ მორიგი გამარჯვება პოლონეთის აღდგენის ფრონტზე. პოლონეთის უდიდეს ქალაქებში—ვარშავაში, ლოძში, კრაკოვში, რადომსა და კელცეში აღდგენილია და მუშაობას შეუდგნენ ადგილობრივი მაუწყებლობის რადიოკვანძები.

## დანიელი პატრიოტების გამოსვლა

გეტებორგი, 20 თებერვალი (საკდესი). როგორც გაზეთი „გეტებორგს მორგონ პოსტი" იუწყება, რამდენიმე დღის წინათ დანიელმა პატრიოტებმა რელსები აჰყარეს კუნძულ ფიუნის ჩრდილო-დასავლეთ გზაზე. ამ გზაზე მიმავალმა გერმანელთა სამხედრო ეშელონმა, რომელშიც 300 ჯარისკაცი იყო, მარცხი განიცადა. მოკლული და დაჭრილია ბევრი გერმანელი ჯარისკაცი. დანიელ პატრიოტთა მოქმედების წინააღმდეგ რეპრესიის სახით გესტაპოელებმა ბევრი პირი დააპატიმრეს.

## ტოკიოსა და იოკოჰამაზე ამერიკის ავიაციის თავდასხმების შედეგები

ლონდონი, 20 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის თვითმფრინავებმა, რომლებმაც 16 და 17 თებერვალს ტოკიო და იოკოჰამა დაბომბეს, იაპონელთა 322 თვითმფრინავი ჩამოაგდეს [illegible] ლეთზე. გარდა ამისა, ამერიკის თვითმფრინავებმა ჩასძირეს და დააზიანეს იაპონელთა 57 გემი.

ტოკიოზე თავდასხმის დროს ამერიკის ავიაციამ 49 თვითმფრინავი დაჰკარგა. ამერიკის [illegible]

## ფრედერიკ შოპენი

### (დაბადების 135 წლისთავი)

[illegible] ევოლუციურად განწყობილმა ახალგაზრდამ ნიკოლოზ შოპენმა პოლონეთში ჰპოვა თავისი მეორე სამშობლო, გაიზიარა მისი იმედები და პირ-ვარამი, შეისწავლა პოლონური ენა, შეირთო პოლონელი ქალი, მიიღო აქტიური მონაწილეობა 1794 წლის აჯანყებაში კოსტიუშკოს მეთაურობით და მოწინავე პატრიოტებთან ერთად ჩაება პოლონეთის აღორძინების საქმეში. ამ საქმიანობის პირობებში და ატმოსფეროში იზრდებოდნენ ნიკოლოზ შოპენის შვილები, მათ შორის ფრედერიკი, რომელიც დაიბადა 1810 წლის 22 თებერვალს, ქალაქ ვარშავასთან ახლომდებარე სოფელ ჟელიაზოვა ვოლიაში.

შეიძლება ითქვას, რომ საყვარელი სამშობლოსადმი ფრედერიკ შოპენმა ორგანულად შეითვისა დედისაგან. ამ მძლავრი ფაქტორის ზეგავლენის გარეშე შოპენის მუსიკალური ინტუიცია ხორცს ვერ შეისხამდა.

1830 წელს ქალაქ ვარშავის პერიოდული პრესა, აღტაცებით მიეგება შოპენის პირველ საკონცერტო გამოსვლებს. „ბედ-იღბალმა დააჯილდოვა პოლონელნი შოპენით..., — სწერდა კრიტიკოსი ციხოვსკი ერთ-ერთ გაზეთში. — შოპენი გვეკუთვნის ჩვენ, და ჩვენვე გვეკუთვნის მისი თხზულებების შესწავლის უპირატესობა". საინტერესო აზრს გამოსთქვამს მეორე გაზეთში პროგრესული მიმართულების წარმომადგენელი, პუბლიცისტი მოხნაცკი, რომელიც აღნიშნავს რა შოპენის კომპოზიციების ორგანულ კავშირს ხალხურ შემოქმედებასთან, მიუთითებს საზოგადოებას, თუ რა შეუძლია შოპენის გენიალობას პოლონეთის ეროვნული კულტურის ზრდა-განვითარების საერთო საქმეში. ისტორიულმა სინამდვილემ გადალახა ამ პროგნოზების საზღვრები: „ფორტეპიანოს შეუდარებელი პოეტი" ფრედერიკ შოპენი დღეს ეკუთვნის არა მარტო პოლონეთს, არამედ მთელ მსოფლიოს, და მისი უკვდავი გენია ბრწყინავს ამ მსოფლიოს მასშტაბით მთელი კაცობრიობისათვის.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქარიშხალმა გაიტაცა ადამიანის აზროვნება, დააყენა ოცნების გზაზე, ფრთები შეასხა და აალაპარაკა საუკეთესო გრძნობათა აღმძრავი, გულჩაწვდომი და ყველასათვის გასაგები ენით. რომანტიკოსმა მუსიკოსებმა თავიანთი სულისკვეთების გამომთქმელ საშუალებად სცნეს ფორტეპიანო. მუსიკალური რომანტიზმი განუყრელია ამ ინსტრუმენტისაგან. კომპოზიტორებმა ვებერმა, შუბერტმა, შუმანმა, ლისტმა, მენდელსონმა და სხვ. თავისი საუკეთესო აზრების გამოთქმა მიანდეს ფორტეპიანოს; მაგრამ მხოლოდმხოლოდ ფრედერიკ შოპენმა ჩაუდგა ამ საკრავ ინსტრუმენტს თავისი ცოცხალი, უკვდავი სული. მხოლოდ მან აალაპარაკა იგი უსაზღვრო გრძნობათა ალსავსე ენით. მხოლოდ მან შესძლო ფორტეპიანოს საშუალებით გრძნობათა სხვადასხვაობის გაჟღერება. ფორტეპიანო შოპენამდეც არსებობდა, მაგრამ მხოლოდ მან აღმოაჩინა, ბრწყინვალედ გამოიყენა მისი შესაძლებლობანი, რომელთა არსებობაზე წარმოდგენა არავის ჰქონდა; შოპენმა აიყვანა ფორტეპიანო მანამდე არნახულ სიმაღლეზე და ფორტეპიანომ მიანიჭა შოპენს სამარადისო უკვდავება.

სიახლე მელოდიის აღნაგობაში, ჰარმონიების ამოქსნასა და ცვალებადობაში, რიტმული ხაზის დასახვა-გამოყენებაში, პოლირიტმიის შემოღებაში ანდა სრულიად ახალი რიტმული ხერხის გამოგონებაში (tempo rubato) [illegible] მყოფელ წყაროსავით ასულდგმულებს შოპენის თხზულებებს.

ყველა სიახლე, რაც თან სდევს შოპენის მუსიკალურ სიტყვას, შეუდარებელი ორიგინალობა მისი მუსიკალური აზროვნებისა ვერ ეტეოდა არსებულ და დაკანონებულ მუსიკალურ ფორმებში. ახალი სიტყვა მოითხოვდა ახალ ფორმას. შოპენმა გაბედულად დაარღვია, გარდაქმნა თავისი მხატვრული აღმაფრენის შემავიწროებელი ტრადიციული ფორმები და შექმნა ახალი. პრელიუდი, ეტიუდი, მაზურკა, ნოქტიურნი, მეტადრე ბალადა, იმ გაგებით და სახით, როგორც ის მოცემულია შოპენის მიერ, წარმოადგენენ სრულიად ახალ სიტყვას, რომანტიკულ მუსიკას ფართო ჰორიზონტით და მომაჯადოებელნი არიან ახალი მუსიკალური ეპოქისა მსოფლიო მასშტაბით.

რომანტიკოს მუსიკოსთა შორის შოპენი წარმოადგენს ყველაზე ბრწყინვალე და დაუშრეტელი სიმდიდრით აღსავსე მხატვრულ ძალას. მის თხზულებებზე აღიზარდა და იზრდება არა ერთი თაობა გამოჩენილი მუსიკოსებისა. მისი თხზულებები დღემდე იპყრობენ მთავარ ადგილს [illegible]

1830-31 წლის აჯანყების დამარცხებამ და პოლონეთში შავი რეაქციის გამეფებამ საზღვარგარეთ საკონცერტოდ გამგზავრებული შოპენი სამუდამოდ ჩამოაშორა თავის დედამიწას და საყვარელ სამშობლოს. აქედან იწყება გენიალური შემოქმედის [illegible] და



ტრაგედიის მეორე, უკანასკნელი პერიოდი, რომელიც 1849 წლის 18 ოქტომბერს მისი სიკვდილით დამთავრდა. ამ პერიოდში, რომელმაც 18 წელს გასტანა, სულიერი ტრაგიზმის ზრდას შოპენის ფსიქიკაში თან სდევს მისი მხატვრული შემოქმედების ტრიუმფალური წინსვლა. შოპენის სუსტი ფიზიკური აგებულობა ვერ იტანდა ვერც ცეცხლოვან ტრფიალებას საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი ქალის ჟორჟ ზანდისადმი, ვერც სულიერ ტანჯვას, გამოწვეულს ჟორჟ ზანდთან გაშორებით. უსაზღვროდ სახელგანთქმული და ამავე დროს სულიერად მარტოდმარტო, თავის საყვარელ მშობლიურ მიწა-წყალს ჩამოშორებული, დაუძლურებული, შოპენი სანთელივით ჰქრება.

შოპენი შექმნა და აღზარდა პოლონეთმა თავის სამაყოდ. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებამ შოპენი განდევნა პოლონეთიდან, სულიერი კავშირი თავის საყვარელ სამშობლოსთან მას არასდროს არ გაუწყვეტია. პარიზმა და მასთან ერთად მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ შოპენი მიიღეს, როგორც პოლონეთის მხატვრული კულტურის არტისტული ძალა. ლაპარაკობდნენ მასზე, როგორც „ახალგაზრდა პოლონელზე", და აღტაცებით ეგებებოდნენ ახალი სიტყვით გაბრწყინებული გენიალური მუსიკოსის კომპოზიციებს.

ვერც ერთმა პოლონელმა მხატვარმა ვერ შესძლო თავისი სამშობლოს ყოველმხრივად ასახვა ისე, როგორც შოპენმა გამოხატა პოლონეთის ბრწყინვალე ისტორიული წარსული, პოლონელი ხალხი და მისი ხასიათი, განცდები, ზნე-ჩვეულებანი (პოლონეზები, მაზურკები, ბალადები, სკერცოები). პოლონელი ხალხისათვის შოპენის სახელი წარმოადგენს ეროვნულ სიამაყეს.

1939 წლის სექტემბერში ფაშისტური გერმანია ცეცხლითა და მახვილით შეიჭრა პოლონეთში. დაიწყო ამ მშვენიერი ქვეყნის ძარცვა და განადგურება. ფაშისტმა ბარბაროსებმა პოლონეთის კულტურის აღმოსაფხვრელად მიწასთან გაასწორეს პოლონეთის დიადი ისტორიული წარსულის მაჩვენებელი და დამამტკიცებელი მრავალი ძეგლი, მათ შორის სამი გენიოსის — კოპერნიკის, ადამ მიცკევიჩისა და ფრედერიკ შოპენის ძეგლები. „გერმანელებს ეშინიათ, რომ შოპენმა არ დაუკრას ფაშიზმის დასაკრძალავად თავისი სამგლოვიარო მარში", — ამბობდნენ ვარშავის მცხოვრებნი, გულდამწვარნი და შეურაცხყოფილნი ფაშისტი ავაზაკების ასეთი საზიზღარი საქციელით. ამ შეურაცხყოფას არასოდეს არ დაივიწყებს არც პოლონეთის ხალხი, არც ერთი ჭეშმარიტი მუსიკოსი და არც ერთი კულტურული ადამიანი.

შოპენის სახელი დღესაც ისევე ბრწყინავს, როგორც წინათ. ვარშავაში კვლავ აღიმართება ამ გენიოსის ახალი და უკეთესი ძეგლი, ფაშისტური გერმანია კი მიწასთან იქნება გასწორებული. ამ ისტორიულ მისიას ასრულებს ჩვენი გმირი წითელი არმია, რომელიც მალე შეამტვრევს ბერლინის კარს.

პროფესორი კოტე მეღვინეთ-უხუცესი

## თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 21/II — „გედების ტბა", 22/II — „აბესალომ და ეთერი". რუსთაველის სახელობის — 22/II — „ხევისბერი გოჩა". მარჯანიშვილის სახელობის—21/II— „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". 22/II — „პირველი ცოლის მორჯულება". მუსიკალური კომედიის — 21, 22/II — „მსახიობის სიყვარული". ხანკულტურის — 22/II — „სევდიანი რომანი".

## ლექცია

21 თებერვალს, საღამოს 8 საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) ქართულ ენაზე შესდგება ამხ. ბაქრაძის ლექცია თემაზე: „ინდუსტრიული საქართველო".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ზ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე შემდეგ სპეციალობებში:
1. ზოგად ენათმეცნიერებაში (ლოგოპედიის განხრით), 2. ქართველურ ენათმეცნიერებაში, 3. ქართულ ლექსიკოლოგიაში.
განცხადებები სათანადო საბუთებითურთ შემოტანილ უნდა იქნეს 10 დღის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.
საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ენის ინსტიტუტში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული, ტელეფონი 3—56—28), ყოველდღე სამუშაო საათებში.
დირექცია

მეუღლე ნადია, შვილები ქიმონია, თამარ, ტატიანა, ჯაბო, რძალი კატო, სიძეები გიორგი, ვალერიან, შვილიშვილი უჩა იუწყებიან ერმილე მიხეილის-ძე გელოვანის გარდაცვალებას.

მეუღლე ეფროსინე, შვილები ნინო, გიორგი ფუტკარაძეები, რძალი ცეცა ჯოჯუა, სიძე ამბროსი პეტრიაშვილი, შვილიშვილები იუწყებიან ბესარიონ ოქროპირის-ძე ფუტკარაძის გარდაცვალებას.

მეუღლე ანასტასია, შვილები კლარა, თინა, ბიჭიკო იუწყებიან ივანე მალაქიას-ძე ქორიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/II, 7 ს. გამოსვენება 22/II, 5 ს. საბჭოს, 123.

შვილები შალვა, დინია და ტატა, რძლები ლილი, ტასო შვილებით იუწყებიან მინადორა ბართლომეს-ასულ ქურციკიძის გარდაცვალებას.

რუსუდან ზედგინიძე მეუღლით კოტე დოლიძე-ზიშვილით, ბიძაშვილი ანიკოთი იუწყებიან მამიდაშვილის ილუშა დიდებულიძის გარდაცვალებას.

ცაცა ბაბუნაშვილი მეუღლით იუწყება ზინა ჯაშის დედის ანეტა პავლეს-ასულ ფუტურიძის გარდაცვალებას.

ჩიხლაძე, ესაძიანი, ბახტაძე, ჯამასპიშვილი, ჯობაძე, მაცაბერიძე, მუჯირი, გორგაძე, ქორიძე, ავალიანი, ზურაბაშვილი, კვანჭიანი, კაკიტაძე, მანია იუწყებიან პაშა მჭედლიძის ძმისწულის გიორგი ბახტაძის გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, დედა ტერეზა, რძლები ანა, ნადია შვილებით, ფედოსი და დომენტი ოდილავაძეები შვილებით იუწყებიან ილუშა გიორგის-ძე დიდებულიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 21/II, 6½ ს. გამოსვენება 22/II, 5 ს. ინწკირველის, 34.

თბილისის რკინიგზის ქალთა მე-5 საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედპერსონალი იუწყებიან გალინა გიორგობიანის მამის მიხეილ გიორგობიანის გარდაცვალებას.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 00235